როგორი გავლენა მოახდინა პანდემიამ ექიმების მოტივაციაზე?

ელენე ზაბახიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის (სოციალური ფსიქოლოგია) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო, როგორც სიმულაციური ნაშრომი, აკადემიური წერის (სამაგისტრო საფეხური) კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე.“

ელენე ზაბახიძე, 2021

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს აღწეროს და შეისწავლოს თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარი უდიდესი გამოწვევის, კოვიდ პანდემიის პირობებში მომუშავე ექიმების მოტივაცია და მისი გავლენა მათ პროდუქტიულობაზე. აღნიშნულ საკითხთთან დაკავშირებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს პანდემიის პროცესში და მის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლაში ჩართულმა და გამოცდილმა ექვსმა ექიმმა. კვლევა ჩატარდა კვლევის თვისებრივი მეთოდით, კერძოდ გამოყენებული იყო ჩაღრმავებული, ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ. გამოვლენილი მონაცემების გაანალიზება მოხდა ფაქტორული ანალიზით. მიღებული შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ პანდემიამ და ზოგადად ამ სრულიად ახალმა, სტრესულმა და გაურკვეველმა მდგომარეობამ, უდიდესი გავლენა მოახდინა სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი ადამიანების მოტივაციაზე, ზოგადად მათ ცხოვრებაზე და განცდებზე. უხილავ მტერთან ბრძოლაში მოტივაციის როლი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელი აღმოჩნდა. როგორც გამოჩნდა, დაბრკოლებებისა და გაურკვევლობის მიუხედავად , ექიმები მეტი ჟინით და ბრძოლის სურვილით უმკლავდებოდნენ პროცესის მართვას. ასევე, კვლევის პროცესში გამოვლინდა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებმაც გავლენა მოახდინა მოტივაციის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესზე. საკვანძო სიტყვები: პანდემია, კოვიდ-19, ექიმის პიროვნული მოტივაცია, ექიმის პროდუქტიულობა, ექიმების პროფესიული კმაყოფილება, სამუშაო მოტივაცია.

Abstract

The present study aims to describe and study the motivation of physicians/doctors working in the Covid Pandemic's greatest challenge facing the modern world and its impact on their productivity. Six doctors involved in the pandemic process and directly involved in the fight against it participated in the study in order to address these issues. The study employed a qualitative approach, with an emphasis on in-depth, semi-structured interviews. Factor analysis was used to analyse the identified data. According to the findings, the pandemic and this novel, stressful, and uncertain situation in general had the greatest effect on the motivation of people working in the medical field, as well as on their lives and feelings. Motivation has proven to be critical in the fight against the invisible adversary. As it turned out, despite the obstacles and uncertainty, doctors managed the process with greater intelligence and a willingness to fight. Additionally, the research process revealed a number of factors that influenced the formation and development of motivation.

Keywords: Pandemic, Covid-19, Physician personal motivation, Physician productivity, Physician professional satisfaction, Job motivation.